საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზენუბანი

ზენუბანი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭართლის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ალევის ქედის აღმ. კალთაზე. ზ. დ. 1440 მ, დუშეთიდან 40 კმ. 8 მცხ. (2002). სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, მთის მწვერვალზე დგას VIII–IX სს. და გვიანდ. შუა საუკუნეების კომპლექსი. მასში შედის სამების დარბაზული ეკლესია (VIII–IX სს.), მცირე დარბაზული ეკლესია (ამჟამად მისი ნაწილია შემორჩენილი), კოშკი, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები და გალავანი.